საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება № 68

თბილისი „07" 08 2018 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის (ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენლის) მსურველთა რეგისტრაციის გამოცხადების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N37 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების" მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" და „მ" ქვეპუნქტების და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის" დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 10 სექტემბრის N176/ნ ბრძანების მე-2 პუნქტით დამტკიცებული წესდების მე-12 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2018 წლის 6 აგვისტოს N979430 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის (ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენლის) მსურველთა რეგისტრაცია და რეგისტრაციის ვადად განისაზღვროს 2018 წლის 8 აგვისტოდან 2018 წლის 21 აგვისტოს ჩათვლით პერიოდი.

2. დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ბრძანების გამოქვეყნება სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

მიხეილ ბატიაშვილი